 კვირა, 24 აპრილი 1911 წ. ფასი ყველგან 10 კაპ.

№ 14 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома". Теофилу Ерастовичу Болквадзе.

საგაზაფხულო.

ელვამ დასერა,—
გველმა ალისამ,—
შავი წყვდიადი
ბნელი ღამისა.
ქარმა დაჰბერა
აღმოსავლისამ
და განთიადი
გაახალისა.

—

მიწას ეძინა,
ისმოდა კვნესა
და ჩუმი ბგერა
ტყვევნილ გულისა,—
ცას გაეცინა ..
სხივოსან მზესა
მოწყდა სიმღერა
გაზაფხულისა.

—

ზღვამ მოიტაცა
ხმა, ცით მოსული,
და ჩააქსოვა
მთრთოლვა ე მკერდსა.
შეკრთა მიწაცა,
სხივთ თაიგული
გადმოეთოვა
ყვავილთ ხავერდსა.

—

მთას გაეცალა
ცივ ღრუბლის ქსელი,
ვით გუნდი ფრთოსანთ
გაცურდა ბარად...
ზეცამ შესცვალა
სიკვდილის ცელი
ოლიმპის მგოსანთ
წკრიალა ქნარად.

ს. აბაშელი.

ტარასი ჭახრაკაძე*)

(დასასრული. იხ. „სალამური" № 10)

იმ დღიდან, რა რომ ტარასიმ უცხო ლამაზ არსებას მოჰკრა თვალი სარკმელთან, მისმა მომხიბლავმა ღიმილმა მძიმე ჭრილობა მისცა მის გულს. ამ დღიდან ტარასის ცხოვრების ბორბალი სულ სხვაგვარათ დატრიალდა. ეძინა, თუ ჭამდა, სწერდა,

*) ამ მოთხრობის დასასრულის დაბეჭდვა „ჩვენდამი დამოუკიდებელ" მიზეზის გამო დაგვიანდა.

„სალ." რედაქცია.

თუ მიდიოდა სადმე მუდამ. თვალ-წინ ედგა ის, მის გონებას აღარ შორდებოდა. ტარასი მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა—გაბედნიერებულიყო და გაეცნო თუმცა ძალიან მოწადინებული იყო, სისრულეში მოეყვანა ეს თავის განზრახვა, მარა მეტათ გაუბედავი იყო, უმეტესათ ქალებთან და ეს გარემოება ფრიად ხელს ეშლიდა. ყოველ დღე ერთ და იმავე დროს ჩაივლიდა ტარასი იმ სახლის ახლო, სადაც ის ნახა, შეხედავდა, გაუცინებდა და გასწევდა თავის გზაზე. ერთხან გაღიმებასაც კი ვერ ბედავდა, ეშინოდა არ გაეჯავრებია. ბოლოს დიდი ფიქრის შემდეგ ძლივს გადასწყვიტა; ასე გადიოდა დღეები, ტარასის საოცნებო საგნათ ეხლა ის გამხდარიყო დალაპარაკებოდა როგორმე. ზოგჯერ დილით სახლიდან, გამოსვლის დროს ტარასი მტკიცეთ გადასწყვეტდა უთუოთ დალაპარაკებოდა, სიტყვებსაც კი ამზადებდა რაც უნდა ეთქვა, მაგრამ დაუახლოვდებოდა თუ არა სახლს, გული საშინლათ დაუწყებდა ცემას, ენა ებმოდა და ვეღარაფრის თქმას ვერ ახერხებდა. ხანდისხან თითქოს მოიკრეფდა გამბედაობას, შეჩერდებოდა, მაგრამ არ იცოდა როგორც დაეწყო, „ისევ ხვალ იყოს“ ჩაილაპარაკა თავისთვის და ამით დაკმაყოფილებული გასწევდა კანტორისკენ.

ასე განვლო კარგა ხანმა. ბოლოს, ალბათ ქალს მობეზრდა ამგვარი მუნჯური შეხვედრა და თვითონ გამოიწვია სალაპარაკოთ. ერთ დილით ტარასი ჩვეულებრივ მტკიცე გადაწყვეტილებით მიდიოდა კანტორისაკენ, რომ დალაპარაკებოდა ქალს. მან ჩვეულებრივათ მოიხედა სარკმელისკენ, გაუღიმა, პარი გააცმაცუნა, მაგრამ ვერაფრის თქმა მოახერხა „ისევ ხვალ იყოს“-ო ჩაილაპარაკა და ის იყო გასწია, რომ ქალმა მიაძახა:

— თქვენ ძალიან ადრე ადგომა გცოდნიათ.

ტარასის მეხი დაეცა. ის ფიცხლავ შემობრუნდა და აკანკალებული ხმით უპასუხა.

— დიახ, ძალიან ადრე ვდგები. თქვენც ადრე გცოდნიათ ადგომა.

— მე ძალიან მიყვარს ადრე ადგომა. თქვენ მგონი სინოდალურ კანტორაში უნდა მსახურებდეთ?

— დიახ, იქ ვმსახურობ.

— განა ასე ადრე გეწყობათ სამსახური?

— არა, მაგრამ ბევრი საქმეები მაქვს და ვერ აუდივარ, თუ ადრე არ მივედი ვერაფერს მოვასწწრობ.

— მუყაითი კაცი ყოფილხართ.

ტარასიმ ამაზედ მხოლოდ ღიმილით უპასუხა, სხვა ვერაფრის თქმა მოახერხა. თითქოს სალაპარაკო მასალა შემოელიათო ორნივე გაჩუმდენ. ტარასი ძრიელ უხერხულათ გრძნობდა თავს, უნდოდა განეგრძო ლაპარაკი, მაგრამ როგორ, ან რა ეთქვა არ იცოდა. თითქოს ქალმა შეატყო ეს და ერთხელ კიდევ გაუღიმა, თავი დაუკრა და მოშორდა სარკმელს.

ტარასი ამ ღღეს ამ ქვეყნათ აღარ გრძნობდა თავს, მისი გული სიხარულით ფეთქდა. ვეღარც სამუშაოს დაუდო გული, ვერც ქრთამებს აუსვა ამ ღღეს. ერთ ადგილზე ვეღარ დგებოდა. წინათ, როცა კანტორაში მოდიოდა, დაჯდებოდა თუ არა თავის მაგიდასთან მუშაობის გათავებამდე გაუნძრეველათ იჯდა, ადგებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვინმე ქრთამის მისაცემათ დერეფანში, გაუძახებდა. ამ ღღეს თითქმის რამდენჯერმე მიატოვა სამუშაო და გარეთ გავიდა. რა უნდოდა არც თვითონ იცოდა, ადგებოდა გავიდოდა დერეფანში გავალ-გამოივლადა, დაათვალიერებდა მთხოვნელებს, ტკბილათ გაიღიმებდა და ისევ უბრუნდებოდა თავის მაგიდას. თითქმის ცხვირში თითის ჩხიკინიც კი დაავიწყდა იმ ღღეს ისე იყო გატაცებული. თანამოსამსახურეები განცვიფრებული იყვენ ტარასის ამ გვარ მდგომარეობით და ვერას გზით ვერ აეხსნათ რა მოხდა... აბა ვინ წარმოიდგენდა თუ ტარასი შეყვარებული იყო და ისიც ისეთ ლამაზ ქალზე.

ტარასი უფრო წათამამდა. ეხლა ისე გაუბედავათ აღარ გაივლიდა სარკმელთან. გაჩერდებოდა, ქუდს მოუხთიდა და შემდეგ გაუბამდა ლაპარაკს. ლაპარაკობდენ უმთავრესად ამინდზე, შინაური საქმეებზე, დილით ადრე ადგომაზე და სხვა ერთი კვირის განმავლობაში ტარასიმ თითქმის სულ გაიცნო სინოდალურ კანტორის წესებს თავის სატრფო. ყოველივე დაწვრილებით უამბო, თითქმის ისიც კი არ დაივიწყდა და უთხრა, რომ იქ ქრთამებს იღებენ, რასაკვირველია მექრთამეებათ სხვები გამოიყვანა და თავის თავი კი სრულიად უმწიკვლოთ. თითქოს მას საშინლათ ეჯავრებოდა ქრთამები და არ იცოდა, როგორ დაეხწია თავი კანტორიჱთვის. ლიზას (ასე ეძახდენ ტარასის სატრფოს) ძლიერ მოსწონდა ტარასის ლაპარაკი და ყოველდღე კმაყოფილი იყო. მანაც თავის მხრით თითქმის დაწვრილებით უამბო ყველაფერი თავის ოჯახის, როგორი ხასიათის იყო დედა, როგორი მამა, დები და ძმები. როგორ თვალყურს ადევნებდა მას დედა, მაგრამ ის მუდამ ატყუილებდა მას. ვინ რა დროს დგებოდა; რას სჭამდენ და სხვა. თავის მხრით ტარასიც ფრიად კმაყოფილი იყო ლიზას ნაამბობით. ღღეები მიდიოდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა,

ისე შეეჩვიენ ერთმანეთს, რომ ლიზა ქუჩაში გამოვიდა და ცოტა ხანს ისეირნეს. შემდეგ ყოველ საღამოს დანიშნულ დროს ტარასი მიდიოდა და დასეირნობდენ ხან ერთ და ხან მეორე ქუჩაზე. ლაპარაკის საგანი მუდამ ერთი და იგივე იყო, არც მეტი და არც ნაკლები. ერთ ორხელ ძლივს გაბედა ტარასიმ და ბაღშიაც მიიპატიჟა ლიზა და კარგათ გაუმასპინძლდა. კონფეტები და სხვა ტკბილეულობა აუცილებლათ უნდა ეყოფა ყოველ დღე. ტარასის თავის მცირე ჯამაგირი ვეღარ აკმაყოფილებდა და გაუსვა და გაუსვა ქრთამებს, ვინც რამდენს შეაძლევდა სიხარულით იღებდა თუნდაც ერთი აბაზი ყოფილიყო.

ტარასის ერთათ ერთი მიზანი ეხლა ის ღა იყო, როგორმე ეთქვა ლიზასთვის გაჰყოლოდა ცოლათ. ძალიან გულით უნდოდა ამის თქმა ტარასის, ბევრჯერ კიდეც დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა. ბოლოს გადასწყვიტა ეშოვნა ფულები და შემდეგ ეთქვა. ტარასი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ლიზას ის უყვარდა და უარს არ იტყოდა მის ცოლობაზე. ფული კი აუცილებლათ საჭირო იყო ამ დროსთვის, თუნდაც საქორწილოთ. ფულის შოვნის სურვილმა ისე ვაიტაცა ტარასი, რომ მან სასწორზე დასდვა თავის თავიც და სამსახურიც, ისეთი საბედისწერო საქმე ჩაიდინა, რომლის მარტო წარმოდგენა შიშის ზარს დასცემდა წინათ. სწორეთ ამ ხანათ ხელში მოუვარდა ერთი საქმე. მისცა ვიღაც სოფლელ კაცს ყალბი მეტრიკული მოწმობა, რომ სასალდათო შვილი გადაერჩინა და კაი ას მანათიანი გაიკრა. ტარასი სიხარულით ცას დაეწია. მისთვის ეხლა საჭირო იყო მხოლოდ გამბედაობა, ეთქვა ლიზასთვის გაჰყოლოდა ცოლათ და სხვა ყველაფერი გაჩარხული იყო. როგორც იქნა გადასწყვიტა ტარასიმ და ერთ საღამოს, როცა ისინი ბაღის ყურეში ისხდენ და ვახშამს შეექცეოდნენ უთხრა გატეხილათ:

— ლიზა! ცოლათ უნდა გამომყვე! უთხრა ეს და ენა დაეგა, სუნთქვა შეეხუთა, გულმა საშინელი დაგა დუგი დაუწყო. ელოდა რა პასუხს მისცემდა ლიზა.

ლიზა თითქო გააოცა ამ სიტყვებმა, ის დააშტერდა ტარასის და რაკი დარწმუნდა ფრიად და ფრიად სერიოზულათ იყო ნათქვაში. საშინელი სიცილი წასკდა. უცბათ ზეზე წამოდგა.

— ძალიან შორს შესტოპეთ, ბატონო ტარასი, თუ თქვენთან დავდიოდი მინდოდა დრო გამეტარებინა, თქვენი ცოლობა კი მე არ შემიძლია და ღმერთმაც დამიფაროს. უმჯობესია ეხლა სამუდამოთ დავშორდეთ ერთმანეთს. მშვიდობით.—ღიმილით უთხრა მან და ხელი არც კი მიუცია შემოტრიალდა და გასწია სახლისაკენ.

ტარასის თავზარი დაეცა ის ყველაფერს მოელოდა და ამას კი არა. მას ვერ წარმოედგინა თუ ასე უცბათ მოეღებოდა ბოლო მის ოცნებას. ის ცოცხალ მკვდარი წამოდგა და ლასლასით გაემართა თავის ოთახისაკენ. ამ დღეს აქეთ ტარასის პირზე ღიმილი არავის უნახავს. მას საშინლათ აეშალა ნერვები, უბრალო რამე ბრაზს ჰგვრიდა. წინათ თუ სიმაოვნებით ისმენდა თავის საყვარელ ტახტის ჭრიალს, ეხლა სიგიჟემდე მიჰყავდა, გაბრაზებულმა ერთ ღამეს მაგრათ დაჰკრა ფეხი და ცალი ფეხი მოამტვრია. მისი ცხოვრების წეს რიგი ძირიანათ შეიცვალა. ის აღარაფერს ყურადღებას აღარ აქცევდა. თვე ისე გადიოდა, რომ ტანისამოსს არ გაიწმენდდა, ადგებოდა დილით ხან დალევდა ჩაის და ხან სულ ავიწყდებოდა ისე მიდიოდა სამსახურში. ის დღე იყო და მას შემდეგ ქალებისთვის აღარ შეუხედნია, ისე შეეჯავრა, როგორც ჭირი. საკმარისი იყო ქალი ეხსენებიათ მასთან, რომ ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში. მან საბოლოოთ აღთქმა დასდო ქალი აღარ შეერთო და შეასრულა კიდეც.

ამ ერთ უბედურებას როგორც იქნებოდა გაუძლებდა ტარასი, მეორე საქმეს, რომ არ ეჩინა თავი. იმ სასალდათოს, რომელსაც ტარასიმ ყალბი მეტრიკა მისცა და სალდათობიდან გადაარჩინა, გამოუჩნდა ვიღაც მეზობელი, რომსლსაც თურმე მისი ჯავრი სჭირდა და დროს უცდიდა. სიდგანლაც გაიგო, რომ მეტრიკის წყალობით გადარჩა. მან მთავრობას შეატყობინა, რომ მოწმობა ყალბი იყო. საქმეს მსვლელობა მისცეს. დაინიშნა გამოძიება, გადასინჯეს საქმეები და ტარასის მიერ ჩადენილი სიყალბე აშკარათ დამტკიცდა. მართალია ამ საქმეში ერთ დიდ ბობოლა მოხელესაც ჰქონდა წილი, ეს ტარასიმაც კარგათ იცოდა, რადგან მან ურჩია ამ საქმის გაკეთება. მაგრამ ტარასის არ შეეძლო დამტკიცება. ის სამსახურიდან დაითხოვეს და სატუსაღოში უკრეს თავი.

დღეს ის მიჰყავდათ სასამართლოში რომ გაემართლებიათ

სასამართლო დიდხანს არ მოსდომებია ტარასის საქმის გარჩევას. როგორც მშიშარა კაცმა ტარასიმ გამომძიებლის პირველ შეკითხვაზედვე ცრემლები გადმოღვარა და გამოტყდა, რომ სიყალბე ჩაიდინა. თავის გასამართლებლად ტარასიმ ის საბუთი წამოაყენა, რომ მცირე ჯამაგირს ღებულობდა და არ ყოფნიდა, და რადგან კანტორაში ქრთამის აღებას

მოქალაქობრივი უფლება მოეპოვებია და მეკარედან დაწყებული ბობოლა მოხელემდე ყველა ღებულობდა, მანაც აიღო.

რამდენიმე ჩვეულებრივ კითხვების შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა ბრალმდებელს მისცა. ის თავის ვრცელ სიტყვაში დაწვრილებით შეეხო მოხელეთა დღევანდელ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ისინი ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მათში გავრცელებულია ქურდობა და ქრთამის აღება, რომ ამას სჩადიან არა მარტო წვრილი მოხელეები, არა მედ მსხვილნიც ამის მთავარი მიზე კი მათი გაუნათლებლობაა. ბრალმდებელმა მოიყვანა რამდენიმე მაგალითი ასეთ მოქმედების. დასასრულ მან მოიხოვა სხვების მაგალითისთვის სასტიკათ დაესაჯათ ტარასი.

შემდეგ წამოდგა დამცველი. მან სავსებით აღნიშნა მოხელეთა უმწეო მდგომარეობა. რომ ისინია თავიანთ მცირე ჯამაგირებით ვერ იკმაყოფილებენ პირველ მოთხოვნილებას. შემდეგ დაწვრილებით შეეხო ტარასის ცხოვრებას, აუწერა მოსამართლეებს როგორ ატარებდა ის დროს შინ და გარეთ, თითქმის მისი ჭრიალა ტახტიც არ დაივიწყა. აღნიშნა, რომ ტარასი სრულიად უმანკო ხასიათის იყო, და თუ იმან სიყალბე ჩაიდინა ამის მიზეზი ის ატმოსფერა იყო, რომელშიაც ის მოხვდა. იქ სადაც მეკრთამეობას პირველი ადგილი ეჭირა, არ შეიძლებოდა ტარასიც არ შემცდარიყო. მან მოითხოვა ტარასის სრულიად გამართლება კმაყოფილების ნიშნათ, რომ კარგი სიტყვა წარმოსთქვა, წვერებზე ხელი ჩამოისვა და დაჯდა.

მოსამართლეები სათათბიროდ გავიდენ. ცოტა ხნის შემდეგ გამოიტანეს განაჩენი, რომლითაც ტარასის გადაუწყვიტეს ოთხი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. თან სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს უმადლეს მთავრობის წინაშე სავსებით ეპატიოს დანაშაულიო.

განვლო ხანმა, სასამართლოს შუამდგომლობამ და ტარასის თხთვნებმა გასჭრეს; აპატიეს დანაშაული. შემდეგ დიდი ვაი-ვაგლახით მოახერხა და პენსიაც დაუნიშნეს თვეში ოცდა ხუთი მანეთი. მას შემდეგ ტარასი თითქო სავსებით მოშორდა ამ ქვეყანას, ის დაბანაკდა თავის ოთახში და ძვირათ გამოდის იქიდან. ეხლა მოხუცებულია, სუამს ნელ-ნელა თავის ოცდა ხუთ მანეთს და სცხოვრობს, მის ცხოვრებას არაფერი არ აშფოთებს. მხოლოდ ხანდისხან როცა უნებლიეთ ფიქრები გაიტაცებს და თავისი წარსული ცხოვრება მოაგონდება თვალები აეცრემლება და მწარეთ ამოიკვნესებს.

ირეთელი.

ს ი მ ღ ე რ ა.

რისთვის ვიქნები უიმედოთა?
ცვალებადია ცხოვრება ესე!..
შენ ჰეი, ძმაო, სჩანს, გაგიჭირდა,
ასე მწარეთ რომ ამოიკვნესე!..

ცხოვრება მხოლოთ ბრძოლით სულდგმულობს,
გამხნევდი! გქონდეს შენ მოთმინება:
ბრძოლაში რჩება გამარჯვებულათ
ის, ვისაც ბოლოს მოელხინება.

ვამბობთ: „ცხოვრება გაიყინაო!“..
ნუ თუ ვერ ამჩნევ შენ იმის ღუღილს?
როს შავი ღრუბლით ცა ისუდრება,
სჩანს, მოვესწრებით ჩვენ ელვას, ქუხილს...

წვიმას დაუშვებს, კოკისპირულსა:
ჰაერს ჩამოსწმენდს, მინდორს გადაჰბანს,
ნეხვს, სიბინძურეს დახვეტს, წალეკავს,
გიუმაჟ მდინარეს ზღვისკენ გაატანს...

და ასე ყოველ მიზეზს მოყვება
თვისი შედეგი, თავისი ბოლო
მეც მწამს, ცვლილებას რომ მოვესწრები,
უიმედობით რათ ჩავიქოლო?

აღდგენა უნდა წამოხრილ ქედსა
და გამთელება იმედს, გატეხილს,
უამისოთ კი ვერვინ გაუძლებს
ცხოვრების სრბოლას და მის ქარტეხილს...

ყოველი კვდება, სხვა იბადება...
არა.. არ კვდება მხოლოთ იმედი!
ის გრდემლი არის, ჩვენ კი—მჭედლები:
გასაკვართია საქვეყნო ბედი!

იმედი არის, ამავდროს, ჩანგიც!
ოჰ, რა რიგ მიყვარს იმის სიმთ ჟღერა!..
მაშ, გაჰკარ სიმებს! მე ჩაქუჩს დავკრავ,
თან ამოვკიდოთ ჩვენი სიმღერა:

ცხოვრების ბორბალს დავატრიალებთ
რა აღგვიდგება, მითხარით, წინა!
თქვენ ეს რა გესმით? მრისხანე ჩანგსა
იქიდგან ქურამ როგორც შესცინა!

ერთობამ მოსპო მათი სხვაობა:
მწყობრათ, თანხმობით აამეტყველა.
ჩვენც, სიყვარულის მცნება რომ გვრწამდეს,
ხომ, ქრისტეს მიერ, ძმები ვართ ყველა.

ვისიც გულს უკვე ჩასწვდა ეს მცნება,
უკვე შეერთდენ, ვით ჩანგი, ქურა,
მათი ერთობის წესი, კანონი
თვითონ ცხოვრებამ დაადასტურა.

და ვისაც მცნება სიყვარულისა
გულით არა სწამს, არ უწერია,
ის გაჩენილა ცხოვრების მღილათ,
იგი სავსებით ჩვენი მტერია.

და აჰა, მედგრათ ურტყამს ჩაქუჩი,
იმას ხმას უწყობს ჩანგისა ჟღერა,
ერთობამ მოსპო მათი სხვაობა:
გაპირმახვილდა ბრძოლის სიმღერა!“.

ნ. ზომლეთელი.

უბედურის დღიურიდან

10 აპრილი.

... გულქვა მამაკაცებს ჰგონიათ, რომ ჩემში მოკლულია ყოველივე გრძნობა, ადამიანობა, სინდისი, პატიოსნება, რომ მე გულის მაგიერ რაღაც სხვა ნივთიერება მიდევს მკერდში, რომ მე მხოლოდ მათი მხეცურ ინსტიქტების დასაკმაყოფილებლათ ვარ გაჩენილი, მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გამოსადეგი ნივთი ვარ, მათი კერძო საკუთრება ვარ, მათ შეუძლიათ მიყიდონ გამყიდონ, შემხრან, შემჭამონ. განა რომელიმე მათგანი დაფიქრებულა ოდესმე, რომ მეც მაქვს გული, გრძნობა, გონება? რომ მეც შემიძლია ვიგრძნო სიხარული და სიმწუხარე? განა მათ შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ ერთ დროს მეც ადამიანის სახე მქონდა, გული სიხარულით ფართხალებდა, ლაღი ოცნება ათასგვარ სანეტარო წუთებს მიხატავდა? აბა რა სათქმელია!

მამაკაცები ჩემში მხოლოთ მოსახმარ ნივთს ხედავენ. დღეს ასეთი ნივთი მათთვის საჭიროა, სულ ერთია მე ვიქნები თუ სხვა, უნდა დავკმაყოფილოთ მათი სურვილი. ჩემს დასერილ გულში გენიის ცეცხლი ტრიალებს, უზომოთ ვიტანჯები, მაგრამ არ შემიძლია ჩემ სახის გამომეტყველებას დაემჩნიოს ეს, მამაკაცებს არ მოსწონს, მათ უნდათ მუდამ მხიარული ვიყო, მუდამ კისერზე ვახტებოდე. მათ არავითარი საქმე არა აქვთ ჩემს გულთან, მათთვის საჭიროა მხოლოდ ჩემი სხეული, სანამ მას თავის ელფერი არ დაუკარგავს. მეც თავს ძალას ვატან ვიკრიჭები, ვხარხარებ, ყელზე ვეხვევი ვლოშნი უშნო სახეს, გულზე კი თან და დან მიჭერენ მაგარ მუხრუჭებს, ყელში რაღაც მაწვება და ლამის დამახრჩოს, მაგრამ მაინც ვკრეჭ კბილებს, რადგან ასე სურთ მამაკაცებს. აბა გაბედონ და შემოიხედონ ჩემს ოთახში, როცა იქ მარტოკა ვგდივარ და არავინ ხელს არ მიშლის გადმოვანთხიო ნაღველი. შეიძლება მათი გული სიბრალულით ატოკებულიყო. ვსტირი... ვსტირი... ჩემი განუყრელი მეგობარი მხოლოდ ცრემლები არიან, მხოლოდ მათ ვუზიარებ ჩემს უზომო ტანჯვას, მხოლოდ მდუმარე კედლები, საპირფარეშო მაგიდა და ლოგინი არიან ჩემი ტანჯვა-წამების მოწამენი, მაგრამ მათგან თანაგრძნობის მაგივრათ საზარელი ხარხარი მესმის. იმათაც, როგორც მამაკაცებს, გამოფიტვიათ გული, მათში ჩახშულა შებრალების გრძნობა და დამცინიან...

გაივლის დღე, დადგება საღამო... მხეცი მამაკაცები ჩვეულებრივათ მოვლენ, რომ მჯიჯგნონ, შემჭამონ, მტანჯონ-მაწამონ. ასე მიდის დრო...

გუშინ მთელი ღამე ბაღებში მათრიეს. მთვრალი მამაკაცები ათასგვარ რამეებს იგონებდენ, რომ დაეკმაყოფილებიათ თავიანთი გიჟური ოცნება. სირცხვილით ვიწოდი, როცა სრულიად ტიტველი სუფრასთან დამსვეს, ხან ერთი ლოშნიდა ჩემ მრავალტანჯულ გულ-მკერდს და ხან მეორე. ყოველ მათ მიკარებაზე აუტანელ ტკივილებს ვგრძნობდი, მზათ ვიყავი ცრემლებათ გადავქცეულიყავი, მაგრამ მაინც ვკვრეტდი კბილებს, ვხარხარებდი, რადგან ასე სურდათ ჩემს მტარვალებს.

... ოჰ რა ბედნიერი დრო იყო?! განა რომელიმე მამაკაცს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ მე გამომიცდია ასეთი ბედნიერი წუთები? განა შეუძლია იფიქროს, რომ ჩემი სპეტაკი გული სიყვარულით ფეთქდა, მე ვიყავი უმანკო, უმწიკვლო არსება? არასოდეს. ისინი მე მხედავენ როგორიც ვარ ეხლა და დარწმუნებული არიან ასე დავიბადე და ასე უნდა ჩავიდე შავ სამარეში...

...საშინელი მწველი იყო პირველი მგზნებარე კოცნა. ჩემს გულს ნექტარივით ჩაეწვეთა ის და სიყვარულის ცეცხლი ააგუზგუზა იქ. ჩემისთანა ბედნიერი იმ დროს ქვეყანაზე არავინ იყო. მიყვარდა გაგიჟებით ჩემი დათა. პირველი კოცნა მოვპარეთ მთელ სამყაროს, ბოროტ ადამიანებს, მთვარიან ღამეში, როცა ის ეზოს კარებამდე მივაცილე. ოჰ, რა ნეტარებას გრძნობდა მა'შინ ჩემი გული? ასე მეგონა თითქოს დედამიწაზე აღარ ვიყავი...და-

თასაც ვუყვარდი თავდავიწყებამდე, ჩვენისთანა ბედნიერი ამ ქვეყნათ არავინ იყო... ვსძლიეთ ყოველივე დაბრკოლებას, შევერთდით საუკუნოთ და გავექანეთ სადღაც შორს, შორს ქალაქში, რომ გვეცხოვრა ჩვენი საკუთარი ცხოვრებით, რომ ბოროტ ადამიანებს თავიანთი ბინძური ხელი არ შეეხო ჩვენი ცხოვრებისთვის...ერთხანათ ჩვენ ბედნიერებას სამზღვარი არ ჰქონდა... განვლო დრომ, დათას ვულგრილობა დაეტყო, მისი სიყვარული მიიფერფლა...ისიც ისეთივე მხეცი გამოდგა, როგორც ყველა...

ოჰ, რა საზარი იყო, როდესაც მან პირველათ გამყიდა, როგორც დასაკლავი ცხვარი.. მისი გარკინებული გული ვერ მოალბო ჩემმა ცრემლებმა. მიწაზე ვხოხავდი, ფეხებს ვულოკავდი, მაგრამ ამაოთ, მას ფულები ესაჭიროებოდა, ერთათ ერთი ჩემი სხეული დარჩენოდა და გამყიდა კიდეც...

...განა ადამიანებს შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ მე ასეთი ტანჯვა გამომივლია? არასოდეს. მათთვის მე ვარსებობ ისეთი როგორიც ეხლა ვარ.

...სასოწარკვეთილი ხმით ვყვირი: მხეცებო! მტარვალებო! მეც მინდა სიცოცხლე! მეც მინდა ბედნიერება, სიხარული, მეც მინდა საკუთარი ცხოვრება... ჩემი ყვირილი არავის ესმის, არსაიდან თანაგრძნობის ხმა... მესმის მხოლოდ საზარელი ხარხარი...

...რა მშვენიერი დღეა...

რა ნეტარება ვიგრძენ, როდესაც ჩემს საკანში მზემ თვალი შემოაჭყიტა... რა რიგ გაათბო ჩემი დაღრღნილი გული... ადამიანები სიხარულით ეგებებიან ამ მშვენიერ დღეს, ათას გვარ სიხარულს განიცდიან მთელი დღის განშავლობაში... მე კი ველოდები გაივლის უფერული დღე, დადგება საზარელი საღამო და დაიწყება ჩემი ტანჯვა-წამებაც... მხეცი მამაკაცები ძიძგნას დამიწყებენ... ფეხქვეშ გამთელავენ... ოდნავათაც არ შეიბრალებენ ჩემ მრავალ ტანჯულ სხეულს, არ ჩამოიხედავენ ჩემ დაღარულ გულში... ასეთია საზოგადო წესი....

... ვსტრირი.. ჩემ განუყრელ მეგობარ ცრემლებს ვუზიარებ ჩემს გულის წყლულებს, ვეალერსები, როცა ისინი ობლათ მოცოცავენ ჩემს დამჭკნარ, ყველასაგან შებილწულ და შელახულ ლოყებზე... ჩამოდით... ჩემო თანშეზრდილო და განუშორებელო მეგობრებო... ჩამოდით!..

კოტე.

ნუ ნაღვლობ..

ნუ ნაღვლობ—მდელო ობლობდეს
ცრემლებს აფრქვევდეს ცხარესა—
დე, ცრემლთ ადიდდეს ნაკადი—
რწყავდეს ველს გულ-მწუხარება!..
ნიავს ყვედრიდეს ფოთოლი;
„ჰა, გული კეშნიანი,
უდროდ მომტაცეს მშობელსა,
აკოკრებული, ფრთიანი!“,
ბუჩქსაც ასმინოს ფოთოლმა
თავისი ნელი შრიალი,
მას აგრძნობინოს ვაება,
დამწველი ცეცხლის ბრიალი!..
— მოჰბერს ნიავი საამო
ცეცხლსაც გადიტანს ზღვაზედა,
ღრუბლებს გადარეკს მთის იქით,
ლხენით გაეკვრის ცაზედა,
და მაშინ მდელოც დაიწყებს
სიმღერას ტრფობის ხმაზედა!..

—

ნუ ნაღვლობ—მდელო ობლობდეს,
ცრემლებს აფრქვევდეს ცხარესა,
ნუ ნაღვლობ—სიო შემოკრავს,
ააყვავ ლებს არესა ..
ან ვინ იცინის, ვინაა?
— დილის პირველი მერცხალი,
დილის პირველი სხივია
ფრთებ გამოსხმული, ცოცხალი!..
ჰო, მდი, ჩემო ფრინველო,
მოფრინდი, გულს ჩამეკარი!..

ბელა.

პატარა ფელეტონი.

საპრემიო ოფლის ღვრა.

დარისპან ფუფქაძე მთელი ღამის განმავლობაში ისე ტრიალებდა ლოგინში, როგორც შამფურზე წამოგებული შესაწვავი გოჟი. ახირებული ჩვეულება ჰქონდა დარისპანს—ისე ლექსს ვერ დასწერდა, უკეთუ თავის ლოგინში ჩაწოლილი არ იყო. მოგეხსენებათ ბევრი ახირებული ხალხია ამ ქვეყნათ, ზოგი სად სდებს თავის ტვინის გამონადენს

და ზოგი სად, ზოგს რა მოსწონს და ზოგს რა. საკვირველი ქმნილებაა ადამიანი, წარმოიდგინეთ ისეთი პოეტებიც მოიძებნებიან, რომლებიც კარგ მორთულ საუცხოო დარბაზში, რომ დასვთ, ერთ სიტყვასაც ვერ დაგიწერთ დარბაზიდან რომ ბოსელში გადაიყვანოთ, მისი მუზა ხელათ ფრთას გაშლის, იქაური ატმოსფერა მის პოეტურ ყნოსვას გაღიზინებს და ლექსიც მზათ არის. ჩვენ ვკითხულობთ სხვა და სხვა ნაწარმოებს, ვსტკებებით და ერთხელაც კი არ დავფიქრდებით თუ რა პირობებში და რად გამომცხვარა ესა თუ ის ნაწარმოები, რამდენი ოფლი არის ჩაწვეთებული თვითოეულ სიტყვაში. რა წუთები განუცთია ავტორს როცა თავის უკვდავ თხზულებას ჰქმნიდა.

დარისპან ფუფქაძეც ახირებული ადამიანი იყო ყელი რომ გამოგეჭრათ, თუ თავის ლოგინში არ იწვა ლექსს ვერ დასწერდა და ვერა. სამაგიეროთ შეწვებოდა თუ არა თავის ლოგინში (უნდა მოგახსენოთ, რომ მისი ლოგინი მაინც და მაინც ვერ იყო შეხამებული მის პოეტურ აღმფრენასთან) მის თავის ქალაში საოცარი დუღილი იწყებოდა, როგორც კარგი მაჭარი ისე სდუღდა გასალექსი მასალა. მართალია ხანდისხან დარისპანს ჯორივით გაუჯიუტდებოდა მუზა, თავგამეტებით უქნევდა პოეტურ დეზებს, ბალიშს ჭირის ოფლით ასველებდა, საბან, გობანს უმოწყალოთ ხევდა ფეხის ქნევით, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, გაიდგამდა მუზა ჯორივით ფეხს და მშვიდობით, მისი მორჯულებება და ქეიფზე მოყვანა ჩვენებურ „კონსტიტუციონურ მათრახსაც“ აღარ შეეძლო.

სწორეთ ასეთ უკიდურესს მდგომარეობას განიცთიდა ეხლა დარისპანი. მას უნდა დაეწერა საპრემიო ლექსი. ჩვენებურ პოეტთა თავსატეხათ და სავალალოთ გაზეთმა „თემმა“ დანიშნა პრემია საუკეთესო ლექსებზე. გამოცხადდა თუ არა ეს გაზეთში, ბევრ პოეტს თუ არა პოეტს გული აუტოკდა, კალამი ხელში მოიმარჯვა, კოპები შეიკრა, თავზე ხელი შემოიდგა და საქმეს შეუდგა. დარისპანიც ახალგაზრდა პოეტთაგანი იყო, მის ლექსებსაც ბეჭდვენ და ზოგიერთები კითხულობდა.

რამდენიმე ლექსი დაბეჭდა გაზეთში და თავი პოეტათ გამოაცხადა. რაც უნდა გემტკიცებიათ მისთვის, რაც უნდა საბუთები მოგეყვანათ, რომ მისი ლექსები არ ვარგოდა, ვერას გზით ვერ დააჯერებდით რომ ის ნამდვილი პოეტი არ იყო რა რომ ერთი ორი მისი ლექსი დაიბეჭდა გაიფუყა ინდაურივით, პოეტური სახე მიიღო, ხან ერთ გამოჩენილ პოეტს ბაძავდა და ხან მეორეს. „მართალია ჩემი ლექსები დიდებულ პოეტებთან შედარებით მდარეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე დიდებული ტალანტი არ ვიყო, დიდებული ნიჭი არ მქონდეს, ადვილათ შესაძლებელია გიოტე, ბაირონი, პუშკინი და ლერმონტოვი ჩემზე ნაკლები ნიჭის პატრონი იყვენ, აკაკიზე, ილიაზე და სხვა ჩვენ პოეტებზე ლაპარაკი ხომ მეტია, მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ მათი მდგომარეობა, მათ ყველაფერი ხელს უწყობდა, მე კი ყველაფერი ხელს მიშლის, მათ კუჭი მუდამ მაძღარი ჰქონდა, მე კი მუდამ ცარიელი მაქვს, ცხოვრება მათ განკარგულებაში იყო, მე კი ცხოვრებასთან შორს ვარ, ისინი გაჩირაღდნებულ დარბაზში სწერდენ ლექსებს მე კიჩემს მწვირიან საბან ქვეშ ვსთხზავ; მაშასადამე ეჭვს გაშეა. მე მათზე უფრო კარგი ნიჭი მაქვს, უფრო მეტის გაკეთება შემიძლია, მაგრამ თუ დღეს დაჩრდილული ვარ, ამის მიზეზი ცხოვრების პირობებია“ ასე ფიქრობდა დარისპან, დაიმედებული, რომ ოდესმე მისი პოეტური ნიჭი შესაფერ ალაგს დაიჭერდა.

დიდხანს ტრიალებდა დარისპანი ლოგინში, ყოველივე საშუალებას ხმარობდა გადმოედინა თავიდან რაიმე ლექსი, ხან შუბლზე თითს მიირჭობდა, ხან წამოჯდებოდა და ჭირის ოფლს იწმენდდა, ხან ჯორივით იქნევდა ფეხებს, მაგრამ არ იქნა და არა, ერთი სიტყვაც ვერ გააგდებინა თავის გოგრასა .გათენებამ მოატანა, როცა დაღლილ დაქანცულმა დარისპანმა თვალები დახუჭა ფეხები შეასვენა და ღრმათ ჩაფიქრდა.

„უნდა დავსწერო საპრემიო ლექსი. მართალია აქ მე ფულების მიღების ინტერესი არა მაქვს, მაგრამ მონაწილეობის მიღება საჭიროა, რომ ყველას გავაცნო ჩემი ტალანტი, ჩავჩრდილო ყველა ცრუ პოეტები. საკმარისია მხოლოდ სამიოდე ტაეპი დავსწერო მორჩა და გათავდა. გააზაფხული, მერცხლების ჭიკჭიკი, მხიარულება, შემოდგომაზე შავი ღრუბლები, ცივი ქარის ზმუილი, ტირილი, ცრემლები და სხვა.

— აი საუცხოო თემა, მართალია ღრმა სიმბოლიურია მარა ყველასათვის ადვილ გასაგები“. ჩაილაპარაკა დარისპანმა, დაიმედებული წამოჯდა ლოგინზე და საწერ-კალამი ხელში მოიმარჯვა. კარგი ხანს იყო ჩაფიქრებული დარისპანი, მის თავის ქალაში დიდი ბრძოლა ი-ო, ტვინი სასტიკ უარზე იდგა და არ უნდოდა „ზედმეტი მუშაობა“, მაგრამ ამა ვინ დაუჯერებდა. დიდი ფიქრის შემდეგ დარისპანმა კალამი ააწრიპინა:

გაზაფხულდა მზე თამაშობს
ყნოსვას ატკბობს ყვავილთ სუნი
ნელი სიო დასისინებს
შრიალით, ციალით, ხრიალით.

—

— საუცხოოა, საუცხოო! ვინც ამას წაიკითხავს უთუოთ გაიგებ რომ აქ კეკლუც გაზაფხულზეა ლაპარაკი და გული სანეტაროთ დაუწყებს ტოკვას“. სიხარულით ჩაილაპარაკა დარისპანმა და ჩაფიქრდა. ეხლა საჭირო შემოდგომის აღწერა კალამი კვლავ აწრიპინდა:

ცის კაბადონს გადაეკრა
შავი რიდე ვით ზეწარი,
ღრუბლები ქარიევით ქრიან
შრიალით, სრიალით, ტრიალით.

—

ზღვა ბობოქრობს, ტალღებს ისვრის,
ზვირთს ზვირთებზე არახუნებს
მოქრის ტალღა სრიალით, ხრიალით
ბრიალით, ტრიალით ღრიალით.

—

გულსა მიღრღნის კაეშანი
სულს მიხუთავს მძიმე ხუნდი,
ცრემლებსა ვყრი გრიალით
კრიალით, ციალით, სრიალით.

—

დარისპანმა კალამი განზე განზე გადმსდო, გატაცებით ეამბორა თავის პოეტურ ნაწარმოებს, სრულად კმაყოფილი გვერდზე გადაბრუნდა და ხვრინვა ამოუშვა, სრული დაიმედებული, რომ დიდებული ლექსი შეთხზა და 50 მ. პრემიას უთუოთ ის მიღებდა,

ბურნუთი.

ნუ სტირი ბებიავ, გაგრილდები.

გაზაფხული მოსულა!..

სულის მზეო გულის ვარდო
ძვირფასო,
გრძნობის მთვარევ, მშვენიერო,
კისკასო,
გაიღვიძე გარიჟრაჟი
მოსულა,
შენი სატრფო საქორწილოთ
მორთულა!!!
შენ გგონია, ისევ ღმუის
გრიგალი?
გრძნობის ბაღი ზამთრისგან არს
მიმხრალი?
ტყუილია! ცხადათ გიჩანს
სიზმარი.
ვერა ხედავ, — მოახლოვდა
ცისკარი?!
გაზაფხულმა ფარჩის კაბა
გაშალა,
ბაღში ვარდმა გულის ბოლმა
დასცალა ..
შენ დასცალე, გენაცვალე,
ვარამი
და ფერადი გამოჰკიდე
ალამი!
გაიღვიძე, გაზაფხული
მოსულა!
შენი სატრფო საქორწილოთ
მორთულა...

ნ. ზომლეთელი.

მწუხრულ ჰანგზე

(სილიუტები).

ძღვნად შუანეთას და ვერას.

Землю цѣлуй, люби все
ища въ этомъ изступленія
Ѳ. Достоевскій.

VIII.

ადონაის, ადონაის!..

— ნუ მიცქერი, ნუ მასე სევდიანად, შენ არ უნდა მიმზეროდე ასე!.. რისთვის არიან შენი თვალები ასე სევდიანი? შენ სულში ნაღველს ფრთა გაუშლია ნუ მიცქერი ნუ მასე, მეჩურჩულება ღამის ბინდი და გულზე მეკრება, უნდა რბილ წიაღში ჩამიხუტოს, მე, ვის თვალებზე არას დროს არ შემშრალა, ვისაც არ ახსოვს არც ერთი წამი ბედნიერების, ვისაც სიზმარშიც მჭვუნვარება თავს დასტრიალებს.

ჰო, რა კარგია ეს სევდიანი ღამე, რას არ მელაპარაკება, რას არ მეჩურჩულება მე მინდა ის მიყვარდეს, გესმისთ მე მინდა მის წიაღში, მის კალთებში სული ლოცულობდეს, მაგრამ საფლავის ლოდივით აწევს გულს ნაღველი.

...აქ კი ქალწულებივით კდემა მოსილებით გადაშლილა მიდამო, თვით ღმერთი მღერის საგაზაფხულოს, ოცნების ქნარზე, მთვარის სხივებით გამოწვეულ იდუმალ მუსიკას მიაგავს მისი ხმა, თითქო ქერუბიმი საცეცხლურს უკმევს შემოქმედსო კაბადონზე ვარსკვლავებს გაუბამთ ფერხული, შუაღამისას გამოღვიძებულ ავადმყოფი ქალწულის ტირილს მიაგავს მათი ბინდიანი კრთოლვა. ტიტანებივით ცათ აყუდებულნი მდუმარედ სდგანან კოლხიდის მთები ისინი ისევ ელიან, უკვდავთა მათი ლოდინი, ისე ვით უკვდავია ის, ვინც იდუმალ ნისლში გამოხვეული მათ მწუხრისას ეჩურჩულება, ტყეებში, სძინავს მღვიმეში თავშეფარებულს უთუოდ ნანად ესმის ზეფირისაგან გამოწვეული ხეთა შრიალი.

მე კი სხვას ველი...

თქვენ გულს ნუ შეაკრთობს მისი სახელი, განთიადის მებაირახტრე ბნელს ირჩევს, როცა მას შეხედავს, მთვარიან ღამეს მაზე მღერიან ზღვის ტალღები და ის ჩემი სატრფოა.

ნუ დამიშლით მე ის მიყვარდეს, რა უყოთ რომ ის იგვიანებს, მე უკვდავი ვარ რადგან მაზე ვმღეროდი მე უკვდავი ვარ, როგორც მისი მოსვლის წინასწარმეტყველი.

ადონაის ხმა გამეც მე ფასკუნჯის ფრთებით შენსკენ გამოვფრინდები, მე უკვდავი რადგან მას ველოდი, მას უმღერდი და მოვა ის უკვდავების შვილი აპოკალიპსის ქალწული.

ადონაის, რად არ გინდა მსხვერპლად მოგიტანო ჩემი ალტყინება?..

სიყვარული .. სიმბოლოა ადამიანის ცხოვრების საშინელებისა, მასში ჩამალა შემოქმედმა ქვეყნის გაჩენის იდუმალება, მას უმღერიან ქვესკნელი და ძალნი ცათანი ის ღამის ზეფირის მოთქმაა, ის

ოხვრაა ვარდის გაუშლელისა. მთანი ცათ აყუდებულნი მაზე ჰკრთებიან, მაზე ოცნებობენ ჩაყვითლებული ნაძვები. ღამის იდუმალებაში ისმის ხმა სატანისა, ისიც მას ეძებს, სულს მაშფოთარს, უარყოფისას ენატრება უკვდავი გრძნობა.

ადონაის!.. აღახვე ბჭენი, უკვდავი სული შენსკენ მოილტვის, ის უკვდავია რადგან მაზე მღეროდა... ის უკვდავია, ვით მისი მოსვლის წინასწარმეტყველი... და მოვა უკვდავების მვიღი, პოლიკაპსის ქალწული...

IX.

ბედის სიმღერა.

ჩუ,... ხმა ისმის... ეს სიმღერაა ბედის წერისა.

ჩონჩხების ქნარზე მღერის სიკვდილი მისი გზა ჩვენ ძვლებითა არის ნაფენი. არის სადღაც ბედნიერება, გზა კი შორს არის, გესმით როგორ ყმუის ხევში აფთარი?

ეს სიმღერაა ბედის წერისა...
საფლავს ემთხვევა, ურვა ნაღველი
საფლავს აკვდება სატრფოს ძახილი
ჩუ, ხმა ისმის ეს სიმღერაა ბედის წერისა

ის ყრუ ძახილია უკვდავებისა, ის ხმობა არის არ ყოფნის მოციქულისა უდაბნოდან ილტვის ბრძოლის წყურვილით აღტყინებული გრიგალი, სიკვდილის ორგიზე უხმობს ავსულებს სათანაელი.

ეს სიმღერაა ბედის წერისა...

X

ჰიმნი სატანას.

სულო უკვდავო! უარყოფის მომაპყარ ყური, შენ გიხმობს, გეძებს სულის სწრაფვა ტიტანიური, მე შენ საქებათ სადიდებლად სოფლად მოველი შენი დიდების ლაღად ყოფა ჩემია ბედი. დემონს მოგიხმობ, სულს მოსწყინდა ერთ სახეობა, მე შენ გიმღერდი შენთვის დავდგი ცრემლის ხეობა მე მსურს ვისმენდე, ყურს უგდებდე შენ იდუმალ ხმებს, რა გენაღვლება რომ მგოსანი შემწირავს ცოდვებს.

მე მყავდა ღმერთი, მგრამ განცხრა არ ყოფნის მხარეს, ახალი ღმერთი დავდგი ეხლა მე მის სამარეს.

სასტიკი და ულმობელი თრთის, ცახცახებს ბედის წერა, შვების მგოსნის შურის გების, როს მოესმა მას სიმღერა.

* * *

შორით ხმა მესმის წავყვები იმ ხმებს, რღვევისა ძალა სულს ჰკლავს, სულს აგზნებს ეს ღმერთი მღერის შურის ძიების, ღმერთი ცეცხლისა განადგურების. სულის ხუნდი საუკუნეთ ვერ გასჭედს, დადგა ჟამი, შვების ჟამი უნდა გაწყდეს. სატანა ჰკივის, სატანა მიხმობს, შურის ძიების ანგგებს მიგალობს წავყვები იმ ხმებს, წავყვები იმ ხმებს, სულს ცეცხლს უკიდებს, სულს ცეცხლით აგზნებს ..

XI

შავი თვალები.

მკივა, ვკანკალებ...

როგორც ქარიშხალის დროს დროს ოკეანე, ისე ზვიადობს გულში ჩაგუბებული ვნება სული ჰმუნვარებს... სული მუნჯობს, სევდის ავგაროზში გამოხვეული არყოფნის მოციქული შავი ყორანი მიხმობს მეძახის, უჰ რა ციკვი მის ფრთათა ბარტყუნი. მე კი გაზაფხული მეზმანება.

შავი თვალები შორს არიან, მაგრამ მაინც ვხედავ, სულს ჰკლავს, სულს ხიბლავს მათი შვენება მე მეძახიან ისინი, მე მიხმობენ იქ სად არ ბნელა, როგორც აქ, სად საუკუნეთა ფრთებზე განისვენებს უკვდავება, სად ანგელოსები უგალობენ სიყვარულის კვარცხლბეკს ქებათა ქება.

გადმიშვით მთებო!.. მათი კოცნა მსურს, მათი კოცნა მსურს, მე პელიკანივით სისხლით გავზარდე მათი პატრონი, მე მისთვის ავიტანე გოლგოთაზე წამების ჯვარი.

ოი ეშმაკო, სათანაელო!.. ამომრიცხე მე ცოცხალთ წიგნიდან, ოღონდ ნუ მომაშორებ მე იმ შავ თვალებს, მისთვის ჰკრთის სული, მისთვის ვალალებს.

XII

კაცო გიყვარდეს...

„კაცო გიყვარდეს, ცათ შთამომძახეს, როს მათ დამბადეს“

...და მეც მიყვარდა. როგორც გაზაფხულის ზღაპარი, როგორც მწყემსის ზღაპარი დათავდა იგი, განთიადისას შობილი მწუხრისას მოჰკვდა, შუადამისას დავასაფლავე ოხერ საფლავზე, მაგრამ საუკუნო შვებას მირჩევნია ის ცრემლები თვალებზე, რომ ჰკრთიან. მე ბრმა ვიყავი, მე მუნჯი ვიყავი, მაგ-

რამ მე ვიცი თვალხილული თავის დღეში ვერ მისწვდება მზის ცხოველ მყოფელ სიდიადეს, მე ვიცი, რომ ბედნიერი არიან ბრმები, ვინც სიბრმავეში სუფრეტენ მზეს. მე მუნჯი ვიყავი, მაგრამ საუკუნენი ვერ გამოსთქვამენ იმ დუმილს, რომელსაც მე განვიცდიდი.

კაცო გიყვარდეს... ეს არის აღთქმა არსებობისა.

კითხეთ თქვენ მდუმარე ტბას, სად ჩვენ ვისხედით, კითხეთ მტირალე ტირიფს და წყლის ფაუნებს ისინი გეტყვიან.

— მათ უყვარდათო.

ცა არ დარგავს ამ სიტყვებს და მიწა ისევ გაიმეორებს:

— მათ უყვარდათო...

ტ. ტაბიძე.

2 აპრილი
ქუთაისი.

ტ ე ბ ე ლ

ჰე ვარსკვლავნო, ლაღ ლაჟვარდზე,
ვით ნამ-ცვარნი ტურფა ვარდზე
კამკამ-თრთოლით სხივთ ციმციმით,
თვალთ ჟუკჟუკით ნაზი ღიმით
რას ტიტინებთ, მე მეძახით?

ვაჰ, ვაგლახით გულ-მოკლული
გლოვის ძაძით დათალხული
ვერ მოგწვდებით,
ტრფობით ყელს ვერ მოგევლებით.

* *

მდელოვ ტურფათ მოქარგულო,
ციურ ნამით მონამულო,
ნაკადთ დენით, სირთა სტვენით
იქნებ თქვენსკენ მომიწოდებთ?

ვაჰმე, სისხლის ცრემლთა ტბაში
ტალღათ ურვა და მოთქმაში
ვით გავცურდე,
ბედის სამზღვარს ვით გავცილდე?

* *

კლდის არწივო, ცის კამარათ
მძლეთ აჭრილო ნიავ-ქარათ
მიმოჰქროლავ შეუდარათ
ნეტავი შენ!

მე მონობის ხუნდთა ძმობილს,
აღმოუთქმელ სევდით ტყვევნილს,
სილაღისა თუნდა აჩრდილს
ვინ მაღირსებს,
გულს გათიშულს ვინ აღმიგზნებს?

დ. თურდოსპარელი.

უფსკრულის პირათ

— მაშ რა ვქნა, სად წავიდე, ვის შევაფარო თავი, ვის მივეკედლო, წავიდე მხეცთან, პირუტყვებთან, გავარდე ტყეთ და მათ გავუზიარო ჩემი დაწყლულებული გულის დარდები? მერე ისინი ხომ პირუტყვები არიან, მათ ხომ არ შეუძლიათ დამელაპარაკონ, მანუგეშონ, გამიქარვონ წყლულები? მართალია მათ ადამიანებზე უფრო ლმობიერი გული აქვთ, უფრო მეტი სიყვარული შეუძლიათ, მარამ თავიანთ გრძნობას მხოლოდ კუდის ქნევით გამოხატავენ. მაშ სად წავიდე, სად? რაღა დამრჩენია სასოწარკვეთილს, უიმედოს? დავუბრუნდე ისევ ადამიანებს? არა, არასოდეს! მე ისინი მეზიზღებიან, მაშ, სად წავიდე, სად? თითქოს ჩემს გარშემო ყველაფერი მოშხამულ მოწამლულია, ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ ამხედრებულა, ყველას შურს ჩემი ცხოვრება. განა შეიძლება იცხოვროს ამ ქვეყანათ ისეთმა ადამიანმა, რომელსაც გული გამოფიტული აქვს, რომელიც გულის ალაგს რაღაც სიცარიელეს გრძნობს? რათ ვებღაუქები ასე უაზრო ცხოვრებას? რა საჭიროა? რას მომცემს ასეთი ცხოვრება? მყავდა მეგობარი, მქონდა იმედები, მქონდა რწმენა, ყველაფერს იმედის თვალით ვუყურებდი, ყველგან და ყველაფერში კარგის მეტს არას ვხედავდი, მაშინ ტკბილი იყო ჩემი ცხოვრება, მაშინ ვგრძნობდი ბედნიერებას. გავიცან ხალხი, გავიგე მათი ფლიდობა, ორპირობა, დავკარგე მეგობარი, დავკარგე რწმენა, სიცოცხლე შხამათ გადმექცა. ამის შემდეგ რა უნდა ვქნა?

ახალგაზრდა სალომე ოდგა აქაფებულ მდინარის პირათ. მის ფეხებ ქვეშ თვალ-უწვდენელ უფსკრულს პირი დაეღო და თითქო ეპატიჟებოდა თავისკენ. ნაზი სიო ნელა არხევდა მის ტანზე თხელ კაბას. თმა საოცნებოთ ჩამოშლოდა, თვალებში საშინელ უიმედობას და რაღაც საბარ გადაწყვეტილებას ამოოიკითხავდა კაცი. ის თვალს ადევნებდა

მის მღვრიე ტალღების თამაშს და შავბნელ ფიქრებს უზიარებდა მათ.

— რათ არიან ასე გულქვა ადამიანები? განაგრძო კვლავ ფიქრი მან—ნუ თუ მათ გულში ყოველივე სიბრალული ამოხოცილია. ყველა ადამიანის თვალებში რაღაც სიყალბეს ორჭოფობას კითხულობ, ყოველ მოძრაობას რაღაც ორგვარი მნიშვნელობა აქვს, ერთი აშკარა, ხოლო მეორე დაფარული. მიენდობი გულით სულით, შენი მოქმედება წრფელი, უანგაროა, მასზე ამყარებ ყოველივე იმედს, შენი ერთათ ერთი მეგობარი გგონია. ბოლოს ხელში გრჩება ცბიერი, ყალბი ადამიანი.

ერთ დროს ჩემს დაწყლულებულ გულსაც მოხვდა სიყვარულის ნაპერწკალი, მიყვარდა, მთელ ქვეყანას მერჩივნა, იმისთანა არავინ იყო, მასაც ვუყვარდი, მეფიცებოდა, მზათ იყო ჩემთვის თავი გაეწირა. მთელი ჩემი ცხოვრების იმედები მაზე იყო დამყარებული ის იყო ჩემი ცხოვრების ქვაკუთხედი. მის თვალებში ვკითხულობდი უზომო სიყვარულს, გულწრფელობას, სიმართლეს. ვერ წარმომედგინა თუ მას შეეძლო სიყალბე ჩაედინა, ერთი სიტყვა ტყუილი ეთქვა. მისი სიტყვები წრფელი, სპეტაკი იყო როგორც მთის ნაკადული. განვლო ხანმა ის ნელ-ნელა შეიცვალა. როცა პირველათ ტყუილებში დავიჭირე თითქო ჩემთვის ქვეყანა დაიქცა, ბოლოს იქამდე მივიდა, რომ საბოლოოთ გამომიცხადა აღარ ვუყვარდი. ფეხქვეშ გამთელა, გამსრისა, ჩემი პაწაწკინა წრფელი, უმანკო გული ამომგლიჯა და ტალახში გადაისროლა, ჩემს იმედებს ფრთა შეეკვეცა და წავიდა სინდის დამშვიდებული, თავი მით იმართლა, რომ არც თვითონ მოელოდა ამას და თუ მოხდა ეს ბუნების ბრალია და არა მისი მას ხელოვნურათ არაფერი არ შეუქმნია, რაც მოხდა თვით ბუნებამ მოიმოქმედა. მყავდა მეგობარი, მთელ ჩემს სიცოცხლეს, ჩემს აღმაფრენას, ჩემს იდეალებს მას ვანაცვალებდი, მას ვუზიარებდი ყველაფერს. მასში ვხედავდი ერთათ ერთ იმედს. ის იყო ჩემთვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი. ბოლოს ისიც ბილწი, გულღვარძლიანი გამოდგა, ცბიერ ადამიანის გრძობამ მასშიაც გაიღვიძა, ჩემს გულში სრულიად წაიხოცა მისდამი ამხანაგური სიყვარული. მეგობრობა, ამხანაგობა ჩემთვის საშინელ სიტყვებათ გადაიქცა. მაშ რაღა დამრჩენია? ყოველ ადამიანში, სიყალბის და ცბიერების განხორციელებას ვხედავ. ყველა სცდილობს მხოლოდ თავის საკუთარ ცხოვრებისათვის, ამ ცხოვრებისთვის ის არავითარ საშუალების წინ არ დაიხევს, თუ ეს შეუძლებელია აშკარათ, ის სჩადის ფარულათ თავის ოთახის ოთხ კედელს შუა. იქ ყველაფერი შესაძლებელია, ასეთ მოქმედებაში მათ ანგარიშს არავინ მოსთხოვს, რადგან დაფარულია ყველასათვის და ყველაც ასე იქცევა. ბრაზი მახრჩობს, სიგიჟემდე მივდივარ, როცა ვხედავ ორი ადამიანის შეხვედრას, ოჰ, როგორ ლოკვენ ერთი მეორეს, ფიანდაზათ ეგებიან, მზათ არიან ერთი მეორეს სიცოცხლე შესწირონ. თვალები ეცრემლებათ მოწვლილ გრძნობების გამო. იქ თავის კოსროში კი სულ სხვა ფიქრები უტრიალებთ სულ სხვა პასუხებს იძლევიან, იქ სულ სხვა გეგმას აწყობენ. რისთვის ან ვისთვის უნდა ვიცხოვრო? რა შინაარსი უნდა მივსცე ჩემ ცხოვრებას? ვის უნდა გავუზიარო ჩემი ჭირ-ვარამი? ყოველგან სიცალიერეს ვგრძნობ, ჰაერში გამოკიდული ვარ, ჩემი მრავალტანჯული გული ველარ იტანს ასეთ ცხოვრებას... მოსვენება მხოლოდ იქ შეიძლება, იქ ამ შავ ტალღებში.

სალომემ ხელი მდინარისკენ გაიშვირა და გიჟივით ჩააშტერდა მის ქუჭყიან ტალღებს. ტალღებმაც თითქოს იგრძნეს რაღაც, წამს შეჩერდნენ და რაღაც ყრუთ ჩაიბუტბუტეს...

..სალომემ ერთი მოავლო თვალი მიდამოს და გადაეშვა...

ნინო.

ზეინაბის და ოთარბეგის გასამართლება ქუთაისში.

(დასასრული. იხ. „სალ.“ № 13).

ბ. ნაფიცნო მსაჯულნო, არა მგონია რომელიმე თქვენგანი იყოს მაკიაველიზმის მომხრე, რომლისთვის ყოველი ზომა ნება დართულია, თუ ამას სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს. არის, ბ-ნებო, მინიმუმი ზნეობის, პატიოსნების, სინდისის, შებრალების, რომელიც ყოველ მდგომარეობაში და ყოველთვის მოითხოვება ადამიანისაგან და ამ მინიმუმს მოკლებულნი არიან ზეინაბი და ოთარბეგიც.

მეორეთ.— თუ ზეინაბს ხალხის ბედნიერება და საქართველოს თავისუფლება აინტერესებდა და არა პირადი მდგომარეობა, რას უცდიდა ის ირაკლის სრულ წლოვანობას, რათ სტანჯავდა ქართველებს ოცი წლის განმავლობაში, თუ კი მას, მის მოქმედებას, მის ღალატს შეეძლო საქართველო დაეხსნა?

უმოყვრესი საკითხი, რომელიც ეუტილებლად უნდა გადიჭრეს, როდესაც ზეინაბ ოთარბეგის მოდგაწეობას და მის ხასიათს ვეკუდეკეთ, შემდეგია: რა წიდი მიუძღვის ბრალდებულთ ამ მოძრაობის წარმოშობაში, რომელმაც ოცი წლის შემდეგ ითეოქა ჯ საქართველო სპარსელებისაგან გასნთავისუფლა?

ჩვენ ვიტით, რომ როდესაც სპეერძნეთი, იტალია ბოლონეთი და სხვა სახელმწიფოები თავისუფლების მოიბოებისთვის ემზადებოდენ, მოწინავე პირნი აარსებდენ საღხში ფარულ წრეებს და თანამედროვე მდგომარეობაზე საღხს თავლებს უხელდენ, საღხს ამხნევებდენ, ამ საღხს, რომელიც ათასგვარ კაჭირვებას განიცდიდა თავისუფლების მტრებისაგან.

როგორც ამ საქმიდან სჩანს საქართველოშიდაც ამ დროს, რომელზედაც ჩვენ ვკაქვს ს

ხადა, მან განაცხადა თვრულათ, რომ ის ოცი წელი ამას უცდიდა, რომ ის თვალითით მიტომ სცხოვრობდა, რომ ნდობა დაემსახურებინა.

ვს ლიტონი სიტყვებია,—ოცი წელი გარეგნილების მორეგეში მეცურავის და მეტარვალის სიტყვები, ნება მიბოძეთ მასწავ უკან დაუბრუნო. მე მოვითხოვ თქვენს, ვეითხოთ ზეინაბს და ოთარ-ბეგს, ვეითხოთ მათ დამცველების გვეპასუხონ: რით დაამტკიცეს ბრალდებულმა ხალხის ეროგულება ოცი წლის განმავლობაში?

მეტარვალიით? ესე რომ ეველას შეუძლია უკვლავთა სიაში ჩაწერის? არა თქვენები, დიდერადი სამსალი დალადების თქვენ დანაშაულობას, თქვენ გაუმართლებელ დალეს.

მაგრამ რაკი ზეინაბმა დაინახა, რომ კეთრეი ბრძოლის დროს მოაკლეს, სულეიმანი ჭკვანეებულმა ხალხმა სულში ჩაიგდო და ის, ზეინაბი, სახალხო სამსკვერის წინაშე უნდა წამგზარეთო, მას მეტი არა დარჩენოდა რა, რომ თავი მოეკლა, რადგან დაფდა სახლვარი მის დიდებას და ფუფუნებას, ზეინაბისაგან ტანჯული ხალხი მას ტახტს მოაშორებდა და შესაეარის ადგილს უპოვიდა, ასეთი უნდა ეთოფილეთ გამცემლის სვეფრი. სამართლიანთ ეთხრა ერთხელ სულეიმან ხანმა ზეინაბს: „ეენდობი, რადგან თუ მიდალატებ, მაშინ ჩემი დალუპვა, შენი დალუპვაცა“-ო.

ტოტხალი დარჩა ოთარ ბეგი, მან ვერ გაბედა ბოლო მოელო თავისი უღირსი სიტოტხალისათვის, მაგრამ ვაი მის შერცხვენილ და უბათ ადებულ სიტოტხლეს! ხალხის შეიდმა, არა ზეინაბმა და ოთარ ბეგმა, ერთიან, დაანარჩინა ორკელი, შესწორა მსგავრადთ სამშობლოსათვის დვიძალი შეიალი, ხალხის შეიდმა ერთიან ასეეაქა მეტეხი, ხალხმა შემუსრა მტერი და თავისუფლება სქართველოს დუბრუნა.

ბ-ბო, ესეთ შემოხვეკაში, როდესაც თანამედროვე ბერობებით იძულებული ხალხი კამოალის სბრძოლეედთ კარეკეული მიზნით, როდესაც ეს ბრძოლა კამოწვეულია ძირითად მიზეზებით,—მიმწოიებულია—მეოსურება, თუ გნებავსთ ამ შემოხვეკაში ზეინაბები და ოთარ ბეგები, თავის თავთ ჩნდებიან, მათ თვეთ ხალხი, მისი ტბოგრების ბიროობები, წარმოშობს. ნაპოლეონი სიფრანგეთის მოძრაობამ შექნა, კარიბალდი იტალიისამ, გამბეტა - სიფრანგეთის გაბერეებულმა მდგომარეობამ 71 წელს, თავდებულნი გეოზაია ქისანელების ნინდელნდალიში სიფერაგემ და სხვა და სხვა.

ის, რაც მოხდა, უზეინაბოთაც და უოთარბეგოდაც მოხდებოდა, ეს მოძრაობა სხვა ჩარხზე ტრაბდებდა; ზეინაბს და ოთარ ბეგს შეეძლოთ მიელოთ მონაწილეობა ამ დიდებულ საქმეში თავიანთი დადებითი მოქმედებით და სულეიმანმა ადერსია, მონობით და ქარეველი ერის ტანჯვა-ვაებით.

ზეინაბს და ოთარ ბეგს, თუ მათ სულდათ, რომ მოდალატეთა რეტხეში არ ჩაწერილიეენენ და ჩვენ ისინი არ გაგვსამართლებინა, ან სხვებს, სუმბათს, ორბელიანს, სპაბს, ანანიას და სხვებს სახლში სამუშაოთ უნდა გაგზეთ-ლოდნენ, ან მერა უნდა ეძიათ და სულეიმანისათვის სიტოტხლე წაერთვათ.

თუმცა სულეიმანის ადგილს სხვა სულეიმანი დაიჭერდა, მაგრამ ვითომ მით რომ ერთი სულიამან სახა ბატონობდა 20 წლის განმავლობაში, ამან რა კაკეთა?

ზეინაბს და ოთარ ბეგს, რომ ეს ჩაგდინთ, ან ხალხში ემუშაენთ და არა მტარვალობის და სიწაამხდრე, რომლის სამბობლო აწი ზეინაბი და ოთარ ბეგია, — მე მოთოან მივადოდი, მუხლს მოვიდრეკდი, თავანს ვტემდი, გუნდრეკს უკმეკდი, როგორც ნამდვილ მოსარჩლეთ, და მე ბირეული დვიჭერდი დამცველის ადგილს და მოული არსებით მოულ ქვეეანას ვეუწყებდი მათ უდანაშაულობაზე; დღეს კი ვხედავ-რა, რომ მათ სამშობლო კაბეკდეს, უფალტეს თავის დვიძალ ერს, სტანჯეს, აწამეს ის და ადგილებული ზეიერთებით სარგებლობა მოინდომეს, მე მათ ბრალს ვდებ, დამნაშავეთ ვცნობ და თქვენგანაც, ბ-ბო ნაფ. მსაჯულნო, ამას მოვითხოვ.

მე ვთავეებ ჩემ სიტეკვას, ბატონო ნაფ. მსაჯულნო, და თანბარის დროს ნუ დავიწყებთ, რომ ზეინაბს და ოთარ ბეგის კამართლებით თქვენ ეველა მტარვალს გასამართლებით და ეოველეკვ სიწამხდრეს ნანქტაას მისცემთ.

გრ. კიოზგაძე.



ქუთაისი—საფიჩხიელს. მაგიდეო თქვენი დეკ-სების ბირველი ტომი, სულ ფუო ნახევარი გამოგიდა. ისეთი სუტსოგო დეკსებია, რომ სასწირო დარჩა ცალკე კომისიის შედგენა. რადგან რედაქციაში იმდენი ხალხი არ გვყავს თავისუფალი, რომ კომისიაში მუშაობაც ეკისრა, კარეშე ბირები მოგაწვიეთ და თქვენს დეკსებს ერთი თვის განმავლობაში განიხილავენ. ბესუხსაც მაშინ მოგცემთ. მანამდე კი მოთმინება იქონიეთ და სწერეთ, მხოლოდ ძალას ნუ დაატანთ თავს.

სამტრედია—სამტრედიელს. თქვენი კორესპონდენტია არც კორესპონდენტიას კავს, არც დეკსს და არც მოთხრობას და არც დრამას. ამიტომ მის განსახილველად ცალკე კომისიის არჩევა დაგვჭირდა რადგან ძალიან დინტერესებული ხართ კაიგოთ ვინ არიან კომისიის წევრები, ეს სრულებო თქვენ თხოვნას და კეტეობინებთ: ესენი „სინათლე“-ს რედაქტორები, მკალობლიშვილი, ია ეკალაძე, დ. ნასუტვრიშვილი და კაპიტანი ტეფაძე. ეფიელ მხრიო კანიხილავენ, თუ დეკსთა გამოგვა დეკ-სთა დაგებეკლავთ, თუ მოთხრობა—მოთხრობათ. შეიძლება რაიმე საამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდეს მაშინ კაპიტანი ტეფაძე განქიქავს. ესეა თუ ისე შეგეტეობინებთ რაც იქნება.

გორი—ბერეკას. თქვენი დეკსი მეტათ ბოეტურია, ვერ გაგვიგია მხოლოდ ერთი ადგილი „მტკვარმა ტალახის ფერი მიიღო და ისე მოეკონება თფილისკენო“, გასაკვირია მტკვრის ამდენვე. კარგი იქნებოდა აგვხსნათ რა ნიეთიერებამ უცვალა ფერი მტკვარს. რაც შეეხება გორის ქალაქის თავის წვერებს უნდა გსთქვათ, რომ მეტათ ბოეტურათ არის დასურათებული. შეიძლება წვერის ადწერა დაგებეკლოთ.

თფილისი—ქრონიკიორს. სასოგადოთ ახალ ამბების ადარ ებეკლავთ ჩვენს ჟურნალში. მაგრამ თქვენ მიერ მოწერილი ახალი ამბავი ისეთი საინტერესოა, რომ არ შეეგიძლია არ დაებეკლოთ. საკვირველია ბეგეკებინოთ შემდეგი: სად მოხდა ეგ ამბავი? რომელ უბანში? მარტო კაპიტანი ტეფაძე, გოთუა, გ. ამირაჯანი და „ბრისაკნი სეკრეტარი“ ელიგა მოხდა „ობლაკაში“ თუ კიდეკ სხვები? მარდალ მიაკენა შეურაცეოფა მათ უბნის ზედამხედველმა თუ არა? როგორ გამოიკენა კაპიტანმა თავის ძველი ბაკონები? როგორ გოთვდა სასქმე და სხვა. გთხოვთ დაწერადებით კარგაკეგინოთ ყველაფერი.

ბათომი—კრეპიას. თქვენი მოთხრობის დებეკლავ მეტათ უსერხულათ მიგვანია. ჯერ ერთი რომ ძალიან დიდია, მეორე ისეთი ენით არის დაწერილი, რომ მხოლოდ ავტორს შეუძლია მისი გაგება. „მზე ამოსტა, სადამის ზღვაში ჩაეეინა, ბუდეარს ზღვამ შემოუეეფა, ბარხანაში ასტედა ძროსების ეეფა, ძალდების ბლეგილი, თხების ბეისეინი, და სხვა“. შეიძლება მხოლოდ მანდ ხდებოდეს ასეთი არა ნორმალური ამბები, ნუ დაკვიწყდებათ, რომ ჩვენს ჟურნალს სხვაკანაც კითხულობენ.

ოზურგეთი—საბას. იწერებით: თავის დდეში დეკსი არ დამიწერია მაგრამ ხალისთავში მიმეყვალ დალიჟანსის გალაბრუნებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე რომ უცბათ ალმერა დეკსის წერის მადათ. ეეფლეზე მეტათ იმოქმედა მამაკაცთა და დედაკაცთა ზეეთ აშეერდმა ჭლიკებმა“ და სხვა. ოან გვთხოვთ უთუოთ სასრეგმოთ გამოგვგებს და სიკონკურსო კომისიას კარდაკსტეთ. სიამოვნებით შეგასრულებთ თქვენ თხოვნას.

ბაქო—ბეკანს. სიამოვნებით დებეკლავდით თქვენს დეკსს „ოანამედროვე ქალების შესახებ“, მაგრამ ესეთი აზრი „დრამატურგ“ გ. ხეჩუაშვილს თქვენზე წინანთ მოსდგა, უკეკ შეუთხზავს დეკსი და დებეკლია კიდეკ როსტომაშვილის „სინათლე“-ში. ეხლა რომ ჩვენ დებეკლოთ ბლაკეატობას შეეწამებენ და ეს არ კარგა თქვენთვის.

სოხუმი—აფხაზს. არ ვიცით შეტოიმთ მოვიდა თქვენი წერილი ჩვენს რედაქციაში, თუ, მართლა ჩვენ გამოგეგზავნეთ. მოკითხვისთვის მადლობას კიძღვნით, გახლავარ კარგად, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც მოთხრობას თქვენს წერილს ვერ დებეკლავთ.

ხაშური—დიაკანს. ძალიან კვეძნელება დვთის მსახური კაცის გაწბილება, მაგრამ შეუძლებელია თქვენი წერილის დებეკლავ. ნუ გაგვიკვირდებით თუ ეკვი შეკვეპარა მის სიმართლეში. როგორც გაკვიგია სასულიერო პირი, მდედლების და დიაკვნების თეატრებში სიარულის ნება არა აქვთ. თქვენ სწერთ მანდ კამართული წარმოდგენის შესახებ, კვეკვერს, როგორ დასწერეთ რეცენზია, როცა თეატრში არ ყოფილხართ? გაგვიგებინეთ ეს და სიამოვნებით დებეკლავთ.

ჭიათურა—მაღაროელს. თქვენ ბოემს ვერ დებეკლავთ, რადგან უშნო სიტყვებით არის შეხანხლილი.

ძალით პოეტებს. გაუწყეთო, რომ დღეიდან დეკსები „სადამურა“-ს რედაქციაში ადარ გამოგზავნოთ. ამისათვის შესაკა ცალკე ბიერი, სადაც ექსპერტები განიხილავენ ახალ ბოეტთა ნაწერმოებს. გთხოვთ აქ მამართოთ ყველამ.

იყიდება

ძლიერ დაკლებულ ფასებში

შემდეგი გამოცემანი:

1) **,,ეშმაკის მათრახი''** 1908 წლისა (35 ნომერი ერთად შეკერილი)—1 მან.; დაკაზმული მშვენიერ ყდაში—2 მანეთი; მსურველს პროვინციაშიაც გაეგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავნის მიემატება—50 კ.

2) **,,მათრახ-სალამური''** 1909 წლისა (34 ნომერი), დაკაზმული და დაუკაზმავი—იმავე ფასებში, როგორც პირველი.

3) **,,ეშმაკის მათრახი''** 1907 წლისა (13 ნომერი ერთათ შეკერილი)—1 მ.; გაგზავნათ 1—20.

4) **,,ალმანახები''** 1909 წელში გამოცემული: ,,აკაკი'', ,,ეშმაკი'', ,,ჯოჯოხეთი'', ,,ეშმაკის მათრახი'' და ,,ტარტაროზი''. (სულ 10 ნომერი ერთათ შეკერილი)—30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.

ვისაც სურს თითო ცალის გამოწერა პროვინციებიდან—ფულის მაგივრად შეიძლება, ღირებული ფოსტის მარკებიც გამოიგზავნოს

მისამართი: Тифлисъ, Типографія Шрома, Мухранская ул. № 12, Теофилу Болквадзе.

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა

„შრომა“

(მუხრანის ქუჩა, № 12).

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდავ საქმეებს: წიგნებს, გაზეთებს, ბლანკებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. ქართულ და რუსულ ენებზე.

საქმეებს ასრულებს სუფთად და სწრაფად.

ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში.

პირველ იანვრიდან გამოდის ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

სალამური

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მანეთი, თვიურათ 50 კაპ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, კრიტიკული წერილები, პატარა ფელეტონები, საყურადღებო ამბები, კორესპონდენციები და სხ.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები, პირველ გვერდზე სტრიქონი ღირება—30 კაპ., უკანასკნელ გვერდზე კი—15 კაპ.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენტებს ბანდეროლით ნუ გამოგზავნიან ხელთნაწერს, რადგან ამაში ერთი-ორათ იხდის ფასს. არ გამოისყიდის რედაქცია აგრეთვე უმარკო წერილებს.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ მუხრანის ქუჩა № 12. რედ.-გამომც. ნ. სულხანიშვილი.